ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1062076

ნომერი: AR1185776

თარიღი : 19.12.2013

გაცემის თარიღი : 05.02.2014

გაცნობის თარიღი : 05.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 , (ნაკვეთი N8/53) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო ესართია პ/ნ 19001025590
- ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #3

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. #6-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.06.008.102) სპეციალური ზონის ნაწილობრივ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1–ით ცვლილებას (თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის თანახმად), გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2013 წლის 26 დეკემბრის #51 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც და სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძოდ, „ქუჩის მიმდებარედ და ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების შენარჩუნებით", სპეციალური ზონის ნაწილობრივ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1–ით ცვლილებას მიეცა თანხმობა. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმის ასლს (30. საკითხი). შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილია ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge